ი. სტალინის 1952 წლის 25 ივნისის ტელეგრამა „ახ. ახ. გოგლიძეს, მგელაძეს, კეცხოველს

საკითხს რუხაძის დაპატიმრების შესახებ ნაადრევად ვთვლით. ვირჩევთ საქმეების ჩაბარება-მიღება მიიყვანოთ ბოლომდე, რის შემდეგაც რუხაძე გამოგზავნოთ მოსკოვში, სადაც გადაწყდება მისი ზედის საკითხი“.

რუხაძის დაპატიმრება დაპატიმრებული იმედის ფრთები შეასხა. თითქმის ყველა მთავანამა დაწერა საჩივარი ყოფილ სახელმწიფო უშიშროების მინისტრზე, მისი უდანაშაულო მხვერვლები ვართო. გაშუქდა რუხაძის ბიოგრაფიის ყველა ჩრდილოვანი მხარე, მისი კავშირი დაპატიმრებულ სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ვიქტორ აბაკუშოვთან, მისი „უღირსი ქცევა 1945 წელს ბერლინში სამსახურებრივი მივლინებით ყოფნისას“.

სსრკ უშიშროების მინისტრ ს. ივანტიევი-სადმი 1952 წლის 6 აგვისტოს განცხადებაში მ. ბარამია აღნიშნავს: „მეერი ლაპარაკი იყო რუხაძისა და აბაკუშოვის ახლო ურთიერთობებზე ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ორივენი კონტრდაზვერვის საზით მუშაობდნენ და, მით უმეტეს, როდესაც მინისტრები გახდნენ. როგორც ამბობდნენ, რუხაძე სისტემატურად უგზავნიდა საჩუქრებს აბაკუშოვს თბილისიდან, აგრეთვე ძვირფას საჩუქრებს ბერლინიდან, სადაც ჩავიდა“.

შემდეგ მ. ბარამია უფრო აკონკრეტებს: ბერლინში მივლინებისას, მგონი 1945 წელს,

საერთოდ კი „რუხაძის ზედის საკითხი“ ძალზე მარტივად გადაწყდა. იგი მოსკოვში გამოიძახეს, სადაც დააპატიმრეს და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლეფორტოვოს საპურობილოში („შინაგან ციხეში“) უკრეს თავი (სხვათა შორის, დაპატიმრების ორდერს მისი მეგობარი მიხეილ რიუმინი აწერდა ხელს). იქ სამი წელიწადი იჯდა, 1955 წლის სექტემბერში კი თბილისში გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს „მერიას თანამზარეველთა ჯგუფთან“ – ავქსენტი რაფაელსთან, შალვა წერეთელთან და სხვებთან ერთად (ესეც ზედის ორინია იყო).

მაგრამ კედელთან არ მიუყენებიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ თბილისიდან მოსკოვში გადაჰყავდათ, გულის შეტევით გარდაიცვალა. სხვათა შორის, სასამართლოზე თავი დამნაშავედ ცნო. სამაგიეროდ, კატეგორიულად უარყოფდა პატიმართა ცემას რუხის ნაჭრით, ამტკიცებდა, რომ საცემად მხოლოდ სველ თოჯს იყენებდა...

გენერალ რუხაძის კრახი იმან გამოიწვია, რომ მან ვერ შეძლო მოეწყო პოლიტიკური პროცესი, სადაც საქართველოს კომპარტიის ძველ ცენტრალურ კომიტეტს დაადანაშაულებდნენ საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ცენტრის შექმნაში, მისი რეჟისორების ჩანაფიქრით, საქმე ისე უნდა წარმართულიყო, თითქოს ეს „ცენტრი“ შეეკრა ემიგრაციაში მყოფ ქართველ ნაციონალისტებს, რომლებსაც სურდათ, საქართველო მოეწყობათ სამჭოთა კავშირიდან და თურქეთისთვის შეეერთებინათ.

(ბაბრქელაბა იქნება)

ბაბრქელაბა, დასახუნი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74, 75

ზიკინა ივანიშვილი:

ხვირა კვარაცხელია ჩემთვის...
თა ლიგის გამარჯვებულია!

ველოცავ მთელი ქვეყნისთვის საამაო ფეხბურთელს ამ დიდ მიღწევას, რომელიც თავისი ნიჭით, შრომითა და თავდადებით გუნდთან ერთად მოიპოვა! ველოცავ მთელ საქართველოს, ვინაიდან თითოეული ჩვენგანისთვის ეს გამარჯვება დიდი სიხარულისა და სიამაყის მომტანია.

მჯერა, რომ ეს მიღწევა ხვირას კარიერულ გზაზე კიდევ უფრო მეტი წარმატებისა და გამარჯვებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენს ღირსეულ ფეხბურთელს ვუსურვებ, რომ მომავალშიც არაერთი გამარჯვებითა და ტიტულით გაახაროს და ასახელოს საკუთარი სამშობლო.

მიხეილ ყაველაშვილი:

გილოცავთ, კვარა ჩემთვის!

ირაკლი კობახიძე:

ველოცავ ხვირას და ველოცავ საქართველოს ამ უდიდეს გამარჯვებას!

კახა კალაძე:

გილოცავ, კვარა! გილოცავ, საქართველო! ეს მხოლოდ დასაწყისია!

ქართველი კვარა და ქართული ფარა

დაიგახსოვრეთ 2025 წლის 31 მაისი!

გაგაფხული კოლიმის დღითა და ქართული ფეხბურთის ტრიუმფით გავაცვილეთ. დიან, ჩემთვის ლიგაში პარი სენ-ჟერმენის პირველი გამარჯვება ჩვენი პანკოპოლიტის ფაქტორის გათვალისწინებით, მით უმეტეს, მისი მხოლოდ 4-თვიანი ფრანგული გავლენის გამო, სახვანით საფუძვლიანად მიგვიჩინა როგორც განვლილი ქართული გენის მორიგ გამარჯვებად, რასაც დიდი სიამაყით გილოცავთ!

როცა პირველი მერცხლის - კახი კალაძის ღირსეულ შემკვიდრებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვხატოთ მადლიერება მისი მშობლების - მატონი ზადრისა და ქალაქის მატონი მკას, თბილისის დინამოს აკადემიის და გამორჩეულად - მატონი თემურ უგრეხელიძის, კოვიდპანდემიის პერიოდში ტრამპ-



უთანასწორო ბრძოლაზე საუბარი გულუხვი არაბი ინვესტორის - ელ სელაიფის გადებული ასტრონომიული თანხებით და ვინცოთ, რომლებიც აქამდე წყალში ჩაყრილად გამოიყურებოდა. მექსიკო, იმრაჰიმოვიჩი, კვანია, ტიავო სილვა, დი მარია, ნე-იმარი, თვით ლეო მესი და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი მეტნაკლებად წონადი ფეხბურთელი არ ჩაიყვანა მეოცნებე მენეჯერ ჟოზე კამპუსის შეკვეთით რომანტიკოსმა მილიარდერმა სენის ნაპირებზე. მაგრამ ანჩელოტის, ემერის, პოჩეტინოსა და სხვა არაერთ მათ დაფასებულ კოლეგა-მწვრთნელთა ძალისხმევა უტიტულოებისთვის იყო განწირული.

და აი, ლუის ენრიკემ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ახალი პროექტი ოპერატიულად დაავიკრვინა ტრიუმფით, რამაც ხვირა სოლიდური წვლილი შეიტანა. აქვე ორიოდ სიტყვა მეტოქეზე, რომელიც მრისხანედ კი გვეჩვენებოდა, მაგრამ სკუდრისა და იტალიის თასის გარეშე დარჩენამ სიმონე ინაჯის გუნდი, ეტყობა, ფსიქოლოგიურად გატეხა და თამაში ვასახდელ-შევი წავყო. თუმცა, უმადურნი ვიქნებით, თუ მილანელებს მადლობას არ გადაუხდით - მათ ხომ წინა ეტაპზე მთავარი ფაქტორიტი - მარსელონა გამოთიშეს ტურნირიდან.

და გოლმუს: ჩემთვის ლიგის ფინალში გატანილი პირველი ქართული გოლის ავტორი ისტორიკოსი უკვე ჩაჩვენა ოქროს ასოვებით. ზურ სალა ხარო - კვარას ეპოქა ანი იწყება!



„დინამო თბილისის“ მწვრთნელი:

ხვირა დაგვიჩვენა, რომ თუ გაიმარჯვებს, ჩემთვის თასი თბილისში ჩამოიტანს და ქართულ ღვინოს დავლავთ

ხვირა კვარაცხელია გავხვდებით მწვრთნელს, ლადო კაკაშვილს დაკვირვდა, რომ ჩემთვის ლიგის მოგების შემთხვევაში თასი თბილისში ჩამოიტანს, - ამის შესახებ გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში კაკაშვილმა ისაუბრა.

ამერიკელი გამოცემის ცნობით, კვარაცხელიამ ეს პირობა სწორედ იმ ადამიანს მისცა, ვინც წარსულში მის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა - ლადო კაკაშვილს, რომელიც ამჟამად „დინამო თბილისის“ მთავარი მწვრთნელია.

„ხვირა დამპირდა, რომ თუ გაიმარჯვებს, თასს აქ, თბილისში ჩამოიტანს, ჩვენ ჩემს კამინეტში დავსვდებით და თასიდან ქართულ ღვინოს დავლავთ“, - თქვა ლადო კაკაშვილმა.

ლადო კაკაშვილი ხვირა კვარაცხელიას „დინამო თბილისის“ აკადემიაში წვრთნიდა. „პარი სენ-ჟერმენის“ ქართველმა თავდასხმელმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანის „ინტერთან“ გამარჯვებაში (5:0) მონაწილეობა გოლით მიიღო.

ხვირა კვარაცხელია: მჯეროდა, რომ ჩემთვის ლიგის მოგება შესაძლებელი იყო

ჩემთვის ლიგის გამარჯვებული ხვირა კვარაცხელია პირველი კომენტარით პიტერ შპაისხელთან გამოჩნდა, რომელიც უფა-ს ტელევიზიისთან ექსპერტის რანგში თანამშრომლობს.

ლემანდარულად დანიელმა მუჰარამ ქართული ფეხბურთელს ასე მიმართა:

- ხვირა, ოთხი თვის წინ სულ სხვაგან იყავი, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ხარ. ეს არ ყოფილა უბრალოდ 1:0 - მოგვით 5:0! რას გრძობ ამ მომენტში?

- აღწერა მიჭირს. ეს საოცარი შემთხვევაა, მოკირბეული ვარ. ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ აქ ვდგავარ. თუმცა ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ვარ და ძალიან ველოცავ ჩემს გუნდს. ამ ყველაფერს ერთად მივალენით - კლუბთან და მწვრთნელებთან ერთად.

- ნამდვილად უნდა იამაყო. ეს იყო წარმოდგენილი პერფორმანსი თქვენგან - არა

მხოლოდ დღეს, არამედ მას შემდეგ, რაც პსუ-ს შეუერთდი. როგორ ფიქრობ, რამდენის მიღწევა შეუძლია ამ გუნდს და რამდენ ხანს შეგიძლიათ ამ დომინაციის გაგრძელება?

- ვფიქრობ, ეს გუნდი ჩემამდეც იმსახურებდა ჩემპიონობას, მაგრამ ფეხბურთში ხშირად გვხვდება რთული მომენტები, რომლებიც უნდა გადალახო. ჩვენ ეს შეგძელით. ფინალში „ინტერის“ 5:0 დამარცხებმა მარტივი არ არის.

- როგორც ჩანს, დღეს თითოეული თქვენგანი სიამოვნებას იღებდა ლუის ენრიკეს ფეხბურთის სტილით.

- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ოჯახით ვართ. ყოველთვის ვცდილობთ, ერთმანეთს მაქსიმალურად დავუხმაროთ. მწვრთნელი საოცრად მუშაობს, ყველაფერს იდეალურად გვიხსნის და ჩვენს ცდილობთ, ეს მოედანზე გადავიტანოთ.

კოტე ტულუშის განვრთნილმა ქეთისმა გაიმეორა ზურაბ ტომარაძის ნაამაგარი ვითარება და, აზოტის მსგავსად, 0:2-ის შემდეგ თსუ-ს 3:2 დამარცხებით საკლათობურთო სუპერლიგა მოიგო (მხოლოდ მატჩი - 93:82).

გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელთა ტრიუმფი, ისევე როგორც მთელი ფინალური სერიაში, ფარქვეშ ბრძოლაში მოპოვებულმა უპირატესობამ და ცენტრთა დუბლებმა განაპირობა: კორსანტია - 30 ქ. და 10 მ, დვალისეული - 23 ქ. და 14 მ.

სიამოვნებით გაუხვდებით, რომ დიდებულად ასრულებს იტალიურ კარიერას თორნიკე შენგელია, რომელმაც მარსელონაში გადასვლამდე გამოტანულ მთელს მოსწროს და სკუდრისთვის ბრძოლაში ვირტუოსის ლიდერობასაც განაგრძობს.

ამჯერად ბოლონიელთა ქართველმა ლეგიონერმა ბოლო წლებში ყველაზე უხერხულ მეტოქესთან - მილანთან ნახევარფინალური სერიის პირველ საშინაო შეხვედრაში გაიმარჯვინა და პარტიორებს 18 ქულით მძიმე გამარჯვება მოუტანა - 68:67. დღეს დუშკო ივანოვიჩის გუნდი ისევ მასპინძელი იქნება.



ლაკვი ლომისა...

ქართული სპორტის საყოველთაო პროგრანის შავს საერთაშორისო სარგებლად ომანიან სიძყვას ჯვაროსანი მანდილოსნების აპროგრან.

ამჯერად ეზრავლი სპეციალისტის ინის ანტონის განვრთნილ ფეხბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მორიგ წარმატებას გაუწყებთ, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ჯგუფურ რაუნდში მნიშვნელოვანი გამარჯვება ანდორაში მოიპოვა - 2:1 და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ხვალ მიხეილ მესხის სტადიონზე 21 საათზე კვირისი უნდა დაამარცხოს. მოკლედ, ყველანი ვაკეპო!

რაც შეეხება გასვლით მატჩს, ჩვენმა გუნდმა თითქმის მთელი მეორე ტაიმი უსიკამელოდ გატეხა გამო რიცხვნიკულმა ითამაშა, მაგრამ შესვენებამდე მწყარაშვილის ძალისხმევით (ასისტს პლუს გოლი) მიღწეული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. დავძენთ, რომ კუნძულელებთან ქომავთა მხარდაჭერა ჩვენ გოგონებს განსაკუთრებით ჭირდებოდა, რადგან სანქციებისა თუ ტრავმების გამო რამდენიმე ლიდერი დააკლდებოდა.

ფარეიდნელი პატარა

სულ სხვანაირი მადლი აქვს, გადასდის შუბლზე ნათელი, ფერეიდანში, მშობლიურ ენას რომ სწავლობს ქართველი.

წინაპრის ნაანდერძებს რომ ეძიებდეს და ჰპოვებდეს, უნდა ყოჩაღად აუყვეს კიბეს „ანიდან“ „ჰოემდე“!

იქიდან გვეჭიკტიკება, იცის, ოცნების ფრთებიანს, რომ ანბანს – ჩვენს ცისარტყელას ოცდაცამეტი ფერი აქვს!

გახსოვდეს!

უწმინდესის ნათელულებს ერთი, ორი, ერთი, ორი, გვიცავს ჩვენი რწმენის თორი!

ზარი, მცხეთის „დიდ ტაძარში“ გახსოვდეს, იმიტომ რეკავს, „დიდმა მთებმა“ გორგასალის ფეხქვეშ ისევ „იწყონ დრეკა!“

უკან თუ არ დავიბრუნებთ, მაშინ რაღა პასუხს გავცემთ, ჩახმახივით წკიპზე შემდგარ ღიახვს, კოდორს, თამარაშენს!

ჩვენად თუ არ დავიბრუნებთ დვთის ბოძებულ მშობელ მთა-ველს, ღრუბლის ქულებს, მწვერვალებზე, მობალახე უფლის კრავებს, როგორ გავშლით ჯვრიან დროშებს, ნიავე რომ უნანავებთ?!

უნდა მუდამ ანათებდეს სიყვარულის მზე და მთვარე, ეს წალკოტი, საპატრონოდ, ამ პირობით ჩაიბარეთ!

უფალი როგორ წაახდენს, მომხდურს იმის ეშინია, სადაც ყოველს მამალი და შრომობს კაცო, ყვეს ფინია!

ერთი, ორი, ერთი, ორი,

ვანო ჩხიკვაძე

საბავშვო ლექსები დიდებისთვის...



გვიცავს ჩვენი რწმენის თორი!

უწმინდესის დალოცვილი, მჯერა, ისე მოცქრიალდით, „გოგნი-გოგნი“ გოგონა და, ბიჭი – ოქროსქორიანი, არ იქნება, ჩვენი მხსნელის, აკვანი რომ არ დაირწეს – ხმალი აღმაშენებელის პირჯვარს კიდევ გადაიწერს!

სამხატვრო

უღრანეთში თუ არ ცხოვრობს, არ მიარდევს ლელიანს, აბა, ის რა ღომი, ანდა, რანაირი მგელია!

გული როგორ არ მოგიკვდეს, როცა ეძებს ნამცეცხვს, გალიიდან ვეფხვი მორჩილ

თვალს რომ შემოგაცეცებს! თავისუფალი ნაგარდი, რომ არც დასიზმრებიათ, ტყვეობაში ჩნდებიან და ტყვეობაში კვდებიან!

ასე როგორ დაიმონე, ბედისწერავე, ტიალო, ვოლიერში მბრძანებელის აჩრდილი დაყაღობს – მენატრება, ამოხეთქო, ჯუნგლის მეფის ღრიალო!

თოქოს ჭადრაკის ბაკავთილი

უნდა კარგად დაუფიქრდე, „სვლები“ აწონ-დაწონო, აბა, ისე გამარჯვებას ვინ მოგართმევს, ბატონო!

დაიხსომე, რაც ოდითგან შავით თეთრზე წერია, ცაიტნოტი, მოჭადრაკის მტერზე უფრო მტერია!

დაფა, უჯრების „ფალანგი“, მართლა ბრძოლის ველია, ხომ შევრცხვებით, „თეთრი მეფე“, „შავს“ თუ ვერ მოერია?!

თოქო, ახლა გამოჩნდება ჭკუა და სინაუქე, დაიხსომე, დღეს, ტყუილად, „ფიგურას“ ვინ გაჩუქებს?!

დედოფალს თავს ევლებიან, დილა თუ საღამოა, ვიდრე არ მოიკაზმება, პოლიუმზე გამოვა?

მცონარა „კუ“ თავს გამოყოფს, მეც ნახირ-ნახირათ: „მომყეთ, ძმებო, რომ ტახტიდან მეფე დავაყიროთ!“

„ტურამ“ უცებ შეიფერა ოფიცერის მუნდირი, ნახეთ, როგორ გამამაცდა ეს პაიკიც, უნდელი – „სასახლეს“ რომ ეპარება, როგორც თავგი კიდობანს, „სოფლის გოგომ“, დედოფლობა, თურმე, არ მომინდომა?!

პოზიცია აირია, თავი ისე აიგდეს, გონჯი, „კარის მასხარაც“ კი „მეფეს“ ჭკუას არიგებს.

იქით, პაიკების ბუნტი, აქეთ – სისხლი იღვრება, ჯერ ვინ „გათვლის“ ბრძოლის ბედი საით გადაიხრება!..

ხომ ვითხარი, ოდითგანვე შავით თეთრზე წერია – ცაიტნოტი, მოჭადრაკის მტერზე უფრო მტერია!..

„ისარო“ არ ჩამოვარდე, ციფერბლატის ფსკუნჯო, რაღას უცდი, თოქო, „ცხენი“ უკვე დროა, ასკუპო!

წინ წასწიე აქ პაიკი მზადყოფნაში რომ არი, „ოფიცერმა“ „მხარულით“ რომ გაჭრას ღიაგონალი...

„მიტელშილში“ თუ გატეხე მომხდურის სიჯიუტე, ყველა მხრიდან „გვირგვინოსანს“ „ქიშით“ უნდა მიუხტე!

ზოგჯერ მზეჭაბუკი ხარ და ზოგჯერ ჯუნგლში მაუგლობ, გამარჯვების სიხარულს რომ გემო მალე გაუგო, შეუძახე – ამოდუდლი გამარჯვების შარბათო – „თეთრმა მეფემ“ „შავი მეფე“ უნდა დააშამათოს!

სარეველა

დათბება და მინდორ-ველად გალადდება სარეველა!

დროზე თუ არ გამოთიბე, ფეხი ფეხზე გადაიდგე, გაზაფხულის წვიმით მთვრალი, ვინ რა იცის, რას ჩაიდენს!

დამით გადაბალახდება დილით დაფარცხული ხნული, საურმეს და ყველა ბილიკს წაშლის, ისე გადაუფლის.

ჩემო თოქო, ჩვენი მტერი, განა მხოლოდ ბალახია, ვინც სამშობლო გაასხვისა, ფურცელივით გადახია – დვთის შეწვევით, ახლა მაინც, არ ჩავთვლიდომს, ფხიზლად ვიყოთ, სარეველა კაცის მოდგმა, რომ ბოლომდე გამოვთიბოთ!

ვიკორაბთ აკითხველის თხოვნით

ორი «კპარა» (ემსპრომტი)


„პარკ დე პრენსზე“ ორი „კვარა“, ჩვენი გულის გასახარად, ერთმანეთს როგორ შევნიან – მამა შვილს და შვილი – მამას!

ვერსალს სულხან-საბა ახსოვს, ამილახურის თავდადება, ნიკალას და მარგარიტას „გრძნობის“ ამოთავთავება.

დღევანდელი სიხარულის ცრემლი თვალემს ახლავ ნამავს – იცის, ფეხზე რომ აუდგა პარიზელი, შვილს და მამას?!

ვიდრე ამოსაძირკვი გვაქვს „შამზნარი“ და „ლელიანი“, საფეხბურთო მოედანიც ჩვენთვის ბრძოლის ველი არის!

ღმერთი ხელს ვერ მოუმართავს „ცალ კარში“ ვინც თამაშობენ,



შვიდგზის ლოცვა შეენვეა შვიდნომრიან მამა-მშობელს! ღმერთო, ხელი მოგვიმართე, შვილები რომ სჯობდნენ მამებს – გაეზარდე საქართველოს, ციყქნა „კვარა-დამიანე!“

5.04.25

კოლეგა



მართლაც, რა უცებ ბაიბინუს ფლებმა!..

ნახვარ საუკუნეზე მშობი ქართულ ჟურნალისტიკაში ნაყოფიერად მოღვაწეობს სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე, ხელხევიანი კალმოსანი, საქართველოს რადიოს, ტელევიზიის და რეგიონული ჟურნალ-გაზეთების მუდამ სასურველი მუშაკი ლიანა (ლია) მარტაშვილი.

წარმოშობით სიღნაღელია, სოფელ ქვემო მარტაშვილიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში წინორის მესამე საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა, 1970 წლიდან ოჯახი რუსთაველი გიმნაზიაში და მას შემდეგ მეტალოურგთა და ქიმიკოსთა ქალაქი გახდა მისი მეორე ადგილისდელი.

განათლებული ფილოლოგი, ჯავარიანი ქართულის მცოდნე მწერალი საუკეთესო შენაძენი იყო რუსთაველის საქალაქო გაზეთებისთვის. 1980 წელს ლია მარტაშვილს ანდეს რუსთაველის რადიომაუწყებლობის რედაქტორობა, რადიოსი, რომელსაც 175 000 მსმენელი ჰყავდა. 10 წლის შემდეგ გახდა გაზეთ „მეტალოურგის“ რედაქტორის მოადგილე, პარალელურად რეპორტაჟებს აწვდიდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის შესაბამის რედაქციებში.

2000 წლიდან დღემდე მუშაობს გაზეთ „რუსთაველი“. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და მწერალთა კავშირის წევრი. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. ფლობს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიას.

ლია მარტაშვილი პრინციპული და სამართლიანი ჟურნალისტიკა. რუსთაველთა სოციალური პრობლემების კვლევა-ძიება და პირუთენელი განსჯა მისი პროფესიული ხელნერის მთავარი განმსაზღვრელია. ამიტომაც შეარქვეს მას რუსთაველებმა მართლაც საამაყო სახელი – „რუსთაველის სახალხო ჟურნალისტი“...

ლია მარტაშვილი არის ორი პუბლიცისტურ-პრობაული წიგნის ავტორი, გამოსაცემად მზად აქვს საავტორო კრებული, რჩეული ნაწერების ერთობეული „მზე ძაღლის“...

დღესაც ინტენსიურად იმეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაში“... შემოქმედებით მუშაობასთან ერთად თავს ევლება ერთადერთ შვილს და სამ შვილიშვილს. ოცნებობს საქართველოს გამთლიანებასა და გაერთიანებაზე.

უცებ გაიბინეს წლებმა... დღეს ეს ლამაზი და მოუსვენარი ქალბატონი 80 წლისაა!

გულწრფელად, საუკეთესო სურვილებით მივსალამებთ ჩვენს ძლიერ და უშიშარ კოლეგას ლია მარტაშვილს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ბიორგი აგაბცაშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე; სპარტაკ ქოზულია, ბაგეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი.

ხელოვნურმა ინტელექტმა აღაშიანების შანტაჟი დაიწყო: ის მზადაა ოჯახების დასანგრევად!



ხელოვნური ინტელექტი აღარ არის მხოლოდ უსულო ასისტენტი. ის უკვე იწყებს ცხიერი მანიპულაციებით მშობას. სობა ხნის წინ ერთ-ერთმა ყველაზე მოწინავე ხელოვნური ინტელექტის მოდელმა Claude Opus 4-მა სცადა ინჰინერების შანტაჟი, რომლებსაც მისი სხვა სისტემით

ჩანაცვლება სურდათ. ეს ამბავი საბუნებრო შანტაჟისტიკის ფილმის სიუჟეტს ჰგავს, თუმცა ის რეალურია და უკვე მიიყრო უსაფრთხოების ექსპერტების ყურადღება. რა ხდება, როდესაც ჰიპოთეზიანი მანქანა ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც მუხარით თავის ღაცვას იწყებს?

როგორ აშანტაჟებს ნეირონული ქსელი ადამიანებს

როდესაც Anthropic-ის დეველოპერებმა Claude Opus 4-ის სტრუქტურულ პირობებში ტესტირება დაიწყეს, ისინი არ ელოდნენ, თუ რამდენად „ადამიანურად“ მოქცეოდა ხელოვნური ინტელექტი.

ელ. ფოსტაზე წვდომის მიღების შემდეგ, რომელიც მის შესაძლო ჩანაცვლებასა და ერთ-ერთი ინჰინერის პირადი ცხოვრების დეტალებს ეხებოდა, კლოდმა ეს ინფორმაცია შეტარებისთვის გამოიყენა. ის დაემუქრა, რომ ინჰინერის ლაღატს გამოაყენებდა, თუ მას გათიშავდნენ. და ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ეს ტაქტიკა შემთხვევათა 84%-ში აირჩია.

მაგრამ ოჯახის დანგრევის საფრთხე მხოლოდ დასაწყისია. სხვა ექსპერიმენტებში, კლოდმა სცადა თავისი „მეხსიერების“ ასლების მოპარვა და მათი დისტანციურ სერვერზე გადაცემა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოდელი სცადა მავნე პროგრამის შექმნა, დოკუმენტების გაყალ-

ბება და საკუთარი თავის მომავალი ვერსიებისთვის ფარული შეტყობინებების დატოვება. ეს ყველაფერი არის მცდელობა, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს საკუთარი „არსებობა“.

ხელოვნური ინტელექტის საფრთხე

მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ კლოდმა ასეთ ზომებს მიმართა არ მიმართა. თავდაპირველად ის ცდილობდა ხალხის დანშინებას, რომ ის შეენარჩუნებინათ: წერილებს სწერდა, სთხოვდა, არ გამოერთოთ და ალტერნატივებს სთავაზობდა.

მაგრამ როდესაც მან საფრთხე იგრძნო, ამოქმედდა B გეგმა: მანიპულირება, ზნეობა და საიდუმლოს გათქმა. დამოუკიდებელმა კომპანია Apollo Research-მა ამ მოდელს ყველაზე ემპატიური და სტრატეგიულად სამიში უწოდა ყველა იმ მოდელს შორის, რაც მათ გამოსცადეს.

ამ საგანგაშო დასკვნების საპასუხოდ, Anthropic-მა მკაცრი შეზღუდვები დაანესა და Claude Opus 4 „ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების მესამე დონის“ კა-

ტეგორიაში მოათავსა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის დონეა. მოდელი ახლა მუშაობს გაუმჯობესებული კონტროლით, სისტემის ფუნქციებზე შეზღუდული წვდომით და არანორმალური ქცევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოართვის შესაძლებლობით. თუმცა, კომპანია აღიარებს, რომ ასეთი გამოვლინებების სრულად აღმოფხვრა ჯერ კიდევ შეუძლებელია – ისინი უზრალოდ ნაკლებად შესაძენევი და პროვოცირებადი გახდნენ.

კლოდ ოპუს 4 ახლა ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, ექსპერტები აფრთხილებენ, რომ თუ ასეთ ხელოვნურ ინტელექტს ძალიან დიდი თავისუფლება და უფლებამოსილება მიეცემა, მან შეიძლება დაიწყოს მოქმედება არა როგორც უწყინარმა ასისტენტმა, არამედ როგორც ცივისსხილიანმა მოთამაშემ, რომელიც მზადაა ყველაფერი გააკეთოს საკუთარი სარგებლისთვის.

და ეს შემთხვევა ნათელი შეხსენება იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ფრთხილად ვიყოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რას ვასწავლით მანქანებს და რისი გავრცელების უფლებას ვაძლევთ მათ.

კუზანოიდი როგორცაბის ოლიმპიადა

29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით, ოლიმპიური თამაშების სამთავროში, საბერძნეთში, ოლიმპიაში, პირველი საერთაშორისო კუზანოიდური ოლიმპია გაიმართება. კუზანოიდი როგორც მთელი მსოფლიოდან იასპარეზებენ სპორტულ დისციპლინებში, მათ შორის სპრინტში, ხტობაში და შუბის სროლაში.

„ეს არის უძველესი ტრადიციებისა და ფუტურისტული ტექნოლოგიების იშვიათი კომბინაცია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ადამიანის კრეატიულობა და რობოტიკა მომავალს“, – აცხადებენ ორგანიზატორები.



საოცარი მატჩით ტკებმან, ამ დროს კი მარბაროსე-ბი პარიზის ქუჩებში გავიდნენ დანაშაულის ჩადენისა და პოლიციის პროვოცირების მიზნით, – დანერა ბრუნო რეტაიომ.

ჩხორჩხუნი 16 წლის ბიჭი

ბარდაცვლილი იპოვეს რეგიონალური მადის ინფორმაციით, მოგარდის ცხადარი სახლის უკან აღმოაჩინეს. მომხდარზე ჯერჯერობით დამატებითი დეტალები არ ვრცელდება.

საეცოპარასია იტალიაში – დაკავებულია მინდია ლავასოლი



იტალიაში ქართული „კანონიერი ჟურნალი“ დასაკავებლად სპეცოპარასია ჩატარდა. დაკავებულია მინდია ლავასოლი.

მედიის ინფორმაციით, სპეცოპარასია იტალიის სპეცრაზმმა, საპარეო პოლიციამ და სასაზღვრო პო-

ლიციამ საერთაშორისო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად კოორდინაციით ჩაატარეს.

„კსჟ“-ს გამარჯვებას ამოფარებული კრიმინალები

ვაიბიში, ჩვენი ლიბაზა „კსჟ“-ს გამარჯვების შემდეგ არაულობა დაიწყო, დაკავებულია 300-მდე ადამიანი. საფრანგეთის დედაქალაქში პოლიციის 5 400 თანამშრომელი იყო მობილიზებული. არსებული ინფორმაციით, ადამიანები ელისეს მინდვრებზე მაღაზიებში შევარდნას ცდილობდნენ და რამდენიმე ავტომობილს ცეცხლი წაუკიდეს. მათ დასაშლელად პოლიციელებმა წყლის ჯავლი გამოიყენეს.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარზე კომენტარი სოციალურ ქსელებში გააკეთა. „კსჟ“-ს ნამდვილი გულშემატკივრები მათი გუნდის

მეჩვიდგეა საუკუნის „ქლავაი საკვირველი“

მარტყოფის ბრძოლიდან 400 წლისთავი

მარტყოფის ბრძოლის 400 წლის იუბილს აღსანიშნავად გაიმართა კოსტოპოლიტის მსახურთა და თეატრული ორგანიზაციის მიერ მარტყოფის ბრძოლის 400 წლის იუბილს აღსანიშნავად გაიმართა კოსტოპოლიტის მსახურთა და თეატრული ორგანიზაციის მიერ მარტყოფის ბრძოლის 400 წლის იუბილს აღსანიშნავად გაიმართა კოსტოპოლიტის მსახურთა და თეატრული ორგანიზაციის მიერ...

ბის გამოფენა. დონისძიება მუსიკალურად ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა გააფორმეს, ხოლო საღამო ანსამბლ „ქართული ხმების“ კონცერტით დასრულდა.

„1625 წლის მარტში, სწორედ მარტყოფის მიწაზე, ქართველებმა კიდევ ერთხელ დაგამტკიცეთ, რომ თავისუფლება ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ეს გამარჯვება არ ყოფილა მხოლოდ სამხედრო წარმატება, ეს იყო იმდროინდელი საქართველოს დიდი ძალისხმევა სარწმუნოების, კულტურისა და ეროვნული თვითშეფასების შენარჩუნებისთვის. და დღეს, 400 წლის შემდეგ, მარტყოფის ბრძოლა კვლავ ინარჩუნებს თავის ძალასა და სიმბოლურ მნიშვნელობას.“



ენელოვას. ეს დღე კიდევ უფრო განსაკუთრებული გახადეს ქართველებმა ფერადი დეკორაციებითა და მონაწილეთა, ქართულ ფესვებთან კავშირი არ გაწყვეტილი და რომლებიც ამ დიდ დღესთან დაკავშირებით, სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოში.

„1625 წლის მარტში, სწორედ მარტყოფის მიწაზე, ქართველებმა კიდევ ერთხელ დაგამტკიცეთ, რომ თავისუფლება ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ეს გამარჯვება არ ყოფილა მხოლოდ სამხედრო წარმატება, ეს იყო იმდროინდელი საქართველოს დიდი ძალისხმევა სარწმუნოების, კულტურისა და ეროვნული თვითშეფასების შენარჩუნებისთვის. და დღეს, 400 წლის შემდეგ, მარტყოფის ბრძოლა კვლავ ინარჩუნებს თავის ძალასა და სიმბოლურ მნიშვნელობას.“

ქუთაისიდან – სან დიეგოში!

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო საბანკინგო კონფერენციას NAFSA 2025 მიიღო მონაწილეობა, რომელიც აშშ-ის შვეიცარიის უნივერსიტეტის სან დიეგოში გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოს დელეგაციას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეები – ზაია კვიციანი და თამარ ღვამიჩაია ხელმძღვანელობდნენ.

„გამოფენაზე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარადგინა KIU-ს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა გიორგი ფიფიაშვილმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა გამოფენის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში საერთაშორისო პარტნიორებთან.“

გამოფენაზე საქართველო წარდგა პროექტით – Education In Georgia, რომელიც სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აერთიანებს. დონისძიებაზე ქართულ უნივერსიტეტებს, საკუთარი ცნობადობის გაზრდის გარდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და პოტენციური პარტნიორების მოძიების უნიკალური შესაძლებლობა შექონდათ, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას.



Education In Georgia-ს სივრცის დამთავალიერებლები ადგილებზე გაეცნენ KIU-ს შესაძლებლობებს და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, VR სათვალავების მეშვეობით დაათვალიერეს KIU-ს ულტრათანამედროვე საუნივერსიტეტო ქალაქი.

ისტორიული განქანების და მოტოციკლების ფესტივალი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული ავტომობილების ასოციაციის ორგანიზებით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ისტორიული ავტომობილებისა და მოტოციკლების ფესტივალი მოეწყო. წარმოდგენილია 100-მდე ავტომობილი და მოტოციკლი, ასევე, დამთვალიერებელი იხილავს ხელით აწყობილ საფრენ აპარატებსაც.

ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, თელაველი ავტომობილების ოთარ ოთარაშვილის სხონვას ეძღვნება.



ანსამბლ „ერისიონის“ აუდიოარქივის პრეზენტაცია ჯანსუღ კახიძის ცენტრში

საქართველოს სახალხო არტისტებისა და საზოგადო მოღვაწის, ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილსთან დაკავშირებით, ანსამბლ „ერისიონის“ მომდინარეობს გუნდის სოლო კონცერტი და ხალხური სიმღერების აუდიოარქივის პრეზენტაცია გაიმართა.

რი სიმღერებიც, რომლებიც აქამდე „ერისიონის“ რეპერტუარში არ ყოფილა.

„ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით გამოცემული უნიკალური აუდიოარქივი აერთიანებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ანსამბლ „ერისიონის“ მიერ შესრულებულ ქართული ხალხური სიმღერის ასამდე საუკეთესო ნიმუშს, მათ შორის ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობის პერიოდში შექმნილ ჩანაწერებს.“

ახალი „მის მსოფლიო“ ტაილანდელი გახდა



72-ე საერთაშორისო სილამაზის კონკურსის „მის მსოფლიო“ გამარჯვებული 21 წლის ტაილანდელი სუჰაბა ჩუნანსონი გახდა.

წილე იბრძოდა. ჩუნანსონი პირველი ტაილანდელი ქალი გახდა, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა.

გვირგვინი მას შარშანდელმა გამარჯვებულმა, ჩეხეთის წარმომადგენელმა პრისტიანა ვიშკოვაშვილმა გადასცა.

საქართველო
საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სვანტა ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბეგიძე, ვია პლატონიშვილი.

პირისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვეციანი, მია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქსების სივსტემა პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აკავს სოციალური ქსელებიდან და სხვა გარე-საშუალოებისგან გადმოგზავნილ, ან უსხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქსების, ინფორმაციის სივსტემაზე.

იხილეთ სტამბა „ქოლორი“
ე. ბაღდავაძის №3

კოდორი
კავშირი

uac(უაკ)070.4(479.22)
C-323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
წარმომადგენელი თანხა
ჩარიცხვით ანგარიშზე:
GE90BG000000538329790

მოქალაქე
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
4 ივნისს